

კონტრაქტი
ოფიცრის თანამდებობაზე მისაღები
სამხედრო მოსამსახურის მიერ, სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ

ქ. თბილისი „____“ „_____“ 20__ წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „სამინისტროდ“, წარმოდგენილი სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსის _____ მიერ,

და მეორეს მხრივ საქართველოს მოქალაქე _____, პირადობის მოწმობის ნომერი _____ გაცემული _____ წლის _____ მიერ, (თვე და რიცხვი) პირადი ნომერი _____, რეგისტრირებული მისამართზე: _____,

შემდგომში, კონტრაქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წოდებული „სამხედრო მოსამსახურედ“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი „მხარეებად“, ვმოქმედებთ რა, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვღებთ წინამდებარე კონტრაქტს შემდეგზე:

მუხლი 1. კონტრაქტის საგანი

1.1. „სამხედრო მოსამსახურე“ იღებს ვალდებულებას, წინამდებარე კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით, კეთილსინდისიერად იმსახუროს „სამინისტროს“ სამხედრო სამსახურში, ხოლო „სამინისტრო“ იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს „სამხედრო მოსამსახურეს“ ანაზღაურება და უზრუნველყოს იგი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.2. სამხედრო სამსახური მოიცავს „სამინისტროს“ შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, „სამხედრო მოსამსახურისათვის“ მიცემული ბრძანებებისა და განკარგულებების განუხრელ შესრულებას, „სამხედრო მოსამსახურეზე“ დაკისრებულ საბრძოლო თუ სხვა ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებას, მაშინაც კი, თუ „სამხედრო მოსამსახურის“ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

1.3. სამხედრო სამსახური, ასევე, მოიცავს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებსაც.

1.4. „სამხედრო მოსამსახურის“ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის, გადაადგილებისა და სამსახურიდან დათხოვნის საკითხები, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 2. მხარეთა მიერ გაცემული გარანტიები

2.1. წინამდებარე კონტრაქტზე ხელმოწერით, „სამხედრო მოსამსახურე“ აცხადებს, რომ ხელმოწერის მომენტისთვის იგი:

2.1.1 არ არის ნასამართლევ მიხედვით ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით;

2.1.2 აკმაყოფილებს სამხედრო მოსამსახურისათვის კანონმდებლობით წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით;

2.1.3 თავის ნებით ხდება ამ საკონტრაქტო ურთიერთობების მონაწილე;

2.1.4 ეთანხმება და აცნობიერებს, რომ სამხედრო სამსახურის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია ნაწილობრივ შეიზღუდოს მისი სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე დაექვემდებაროს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს.

2.2. წინამდებარე კონტრაქტზე ხელმოწერით, „სამინისტრო“ აცხადებს, რომ იგი:

2.2.1 უფლებამოსილია კანონმდებლობის მიხედვით, გააფორმოს ასეთი კონტრაქტი;

2.2.2 უფლებამოსილია იკისროს წინამდებარე კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებები.

მუხლი 3. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ამ კონტრაქტით განსაზღვრული ვადა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი

3.1. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 5 წელს, რომელიც აითვლება შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან და რომელიც აღინიშნება კონტრაქტის პირველ გვერდზე, რაც ამავდროულად ითვლება კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღად.

3.2 ამ კონტრაქტის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

3.3. თუ კონტრაქტით სამხედრო სამსახურის ვადის განმავლობაში, გამოცხადდა საომარი და/ან საგანგებო მდგომარეობა ან წარმოიქმნა სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობები და კონტრაქტის ვადის ამოწურვა ემთხვევა ზემოაღნიშნულ მდგომარეობას/პირობებს, ასეთ შემთხვევაში კონტრაქტის მოქმედება არ წყდება და გრძელდება საომარი და/ან საგანგებო მდგომარეობის ან სხვა განსაკუთრებული სიტუაციის პირობების დასრულებამდე.

მუხლი 4. სამხედრო მოსამსახურის შრომის ანაზღაურება

4.1. „სამხედრო მოსამსახურეს“ კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

4.2. „სამხედრო მოსამსახურის“ ანაზღაურება შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, „სამხედრო მოსამსახურეზე“ არ ვრცელდება საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნები.

4.4. საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უკანონოდ დათხოვნილი „სამხედრო მოსამსახურის“ სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, „სამხედრო მოსამსახურე“ ამ კონტრაქტზე ხელმოწერით, წინასწარ აცხადებს გამოუთხოვად უარს განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე და მას მიეცემა მხოლოდ უფლება დამატებით იმსახუროს განაცდური პერიოდი.

მუხლი 5. სამინისტროს ვალდებულებები

5.1. „სამინისტრო“ ვალდებულია დაიცვას „სამხედრო მოსამსახურის“ მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პირობები, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიები.

5.2. „სამინისტრო“, მოთხოვნის შემთხვევაში, „სამხედრო მოსამსახურეს“ აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობით განსაზღვრული მისი უფლება-მოვალეობების შესახებ.

5.3. „სამხედრო მოსამსახურის“ მიმართ, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ შესაბამისი ორგანოს მხრიდან, შეტყობინების მიღების შემთხვევაში, „სამინისტრო“:

5.3.1 შეუჩერებს „სამხედრო მოსამსახურეს“ სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ანაზღაურებას, სათანადო ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე; ან

5.3.2 კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში, დაითხოვს სამხედრო სამსახურიდან.

მუხლი 6. სამხედრო მოსამსახურის ვალდებულებები

6.1. „სამხედრო მოსამსახურე“ ვალდებულია:

6.1.1. კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, დასახული ამოცანები და განუხრელად დაემორჩილოს ზემდგომი უფროსების/მეთაურების ბრძანებებსა და განკარგულებებს, ზუსტად და დროულად შეასრულოს ისინი;

6.1.2. მტკიცედ დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობები, მათ შორის სამხედრო ფიცის, წინამდებარე კონტრაქტისა და საჯარისო წესდებების მოთხოვნები, ერთგულად ემსახუროს საქართველოს, შეასრულოს მხედრული მოვალეობა;

6.1.3. აიმაღლოს სამხედრო, ტექნიკური და ზოგადი ცოდნის დონე, მტკიცედ დაიცვას და არ გაამჟღავნოს მისთვის განდობილი სახელმწიფო თუ სამხედრო საიდუმლოება;

6.1.4. გაუფრთხილდეს სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ სხვა ქონებას, თავის სამხედრო წოდებას, პატივსა და ღირსებას, არ ჩაიდინოს სამხედრო მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება;

6.1.5. ზედმიწევნით დაეუფლოს და საჭიროების შემთხვევაში, მეთაურის ბრძანების მიღების შემდეგ, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოიყენოს მინდობილი იარაღი და საბრძოლო ტექნიკა;

6.1.6. არ გამოიყენოს საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო სამსახურში მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

მუხლი 7. პასუხისმგებლობის განსაკუთრებული პირობები

7.1. „სამხედრო მოსამსახურე“ სრულად, მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს მისთვის მინდობილი ქონების (მათ შორის ფორმის ტანსაცმლის, აღჭურვილობის, იარაღის, ტექნიკის და ა.შ.) უსაფრთხოებასა და მოვლაზე. „სამხედრო მოსამსახურე“ მხოლოდ დროებით სარგებლობს მისთვის მინდობილი ქონებით, ხოლო ამ ქონების მესაკუთრეა სახელმწიფო „სამინისტროს“ სახით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ „სამხედრო მოსამსახურე“ განზრახ ან გაუფრთხილებლობით, დააზიანებს, დაკარგავს ან არ დააბრუნებს მისთვის მინდობილ ქონებას, იგი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს „სამინისტროს“ მისთვის მიყენებული ზიანი პირველადი საბალანსო ღირებულების შესაბამისად. ჩვეულებრივი მოხმარების დროს, ქონების მიერ განცდილი ცვეთა მხედველობაში არ მიიღება. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობითა და საჯარისო წესდებებით ქონებრივი პასუხისმგებლობის გარდა, შეიძლება დაეკისროს აგრეთვე სხვა სახის პასუხისმგებლობაც.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ „სამხედრო მოსამსახურე“ ამ კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში, ვადადღე იქნება დათხოვნილი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურიდან სამხედრო სამსახურის პირველი ორი წლის გავლის პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძვლით,

რომელიც კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ითვალისწინებს ფინანსური პასუხისმგებლობის წარმოშობას, „სამხედრო მოსამსახურე“ უპირობოდ ხდება ვალდებული, კონტრაქტის შეწყვეტიდან (შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გამოცემიდან) 10 (ათი) დღის ვადაში, აუნაზღაუროს „სამინისტროს“ ჯარიმის სახით 5 000 (ხუთი ათასი) ლარი.

„სამხედრო მოსამსახურე“ უპირობოდ აცხადებს, რომ კონტრაქტიდან გამომდინარე დავების განხილვისას, სადაო არ გახდება წინამდებარე მუხლში აღნიშნული თანხა და არანაირი დავა არ წარმოიშვება მის ირგვლივ.

7.4. ამ მუხლის 7.3. პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

7.4.1 კონტრაქტის მე-9 მუხლის 9.1.1, 9.1.4, 9.1.5 და 9.1.7 პუნქტებით ვადამდე კონტრაქტის შეწყვეტისას;

7.4.2 კადრების განკარგულებაში გაყვანის შედეგად, „სამხედრო მოსამსახურის“ სამსახურიდან დათხოვნისას. კადრების განკარგულებაში გაყვანის შედეგს არ უკავშირდება დათხოვნის ისეთი საფუძვლები, რომლებიც მართალია ცნობილი გახდა ან წარმოიშვა კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში, მაგრამ არ უკავშირდება კანონმდებლობით დადგენილ იმ პროცედურებს, რომლებიც ითვალისწინებენ კადრების განკარგულებაში გაყვანისა და შემდგომ დათხოვნის საფუძვლებს;

7.4.3 მე-9 მუხლის 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იმ შემთხვევებში, როდესაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობის წარმოქმნას.

7.5. „სამხედრო მოსამსახურე“ აცნობიერებს, რომ სამხედრო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა, მასზე ვრცელდება დისციპლინარული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

მუხლი 8. სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის მე-7 მუხლში აღნიშნული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის „სამინისტროს“ მხრიდან აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები

8.1. „სამხედრო მოსამსახურეს“, მის მიერ წინამდებარე კონტრაქტის მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების შემთხვევაში, „სამინისტროს“ გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის თანხა შეიძლება დაექვეთოს ანაზღაურებიდან. ამასთან, ანაზღაურების ყოველი გაცემისას, ყველა დაქვითვის საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს „სამხედრო მოსამსახურის“ კუთვნილი ანაზღაურების 50% (ორმოცდაათ პროცენტს).

8.2. „სამხედრო მოსამსახურის“ მიერ „სამინისტროზე“ მიყენებული ზიანის თანხა თუ აღემატება წინამდებარე კონტრაქტით სამხედრო სამსახურის მთელი დარჩენილი პერიოდის მანძილზე მისაღები ანაზღაურების საერთო თანხას და აგრეთვე კონტრაქტის მე-7 მუხლის 7.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, თანხების (ზიანი, ჯარიმა) ანაზღაურება მოხდება, როგორც შრომის

ანაზღაურებიდან დაქვითვით, ასევე „სამხედრო მოსამსახურის“ ქონებაზე გადახდის მიქცევით.

8.3. კონტრაქტის მე-8 მუხლის 8.2. და მე-7 მუხლის 7.3. პუნქტებით დადგენილ შემთხვევებში, „სამხედრო მოსამსახურისაგან“ „სამინისტროს“ კუთვნილი თანხების ან მე-7 მუხლის 7.3. პუნქტით დადგენილ პერიოდში „სამხედრო მოსამსახურის“ ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში „სამხედრო მოსამსახურის“ მიერ გადასახდელი თანხების ამოღების მიზნით, „სამხედრო მოსამსახურის“ ქონებაზე გადახდევინების მისაქცევად, „სამინისტრო“ უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

8.4. სასამართლოში მიმართვის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილიდან და სხვა დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ კონტრაქტიდან გამომდინარე, „სამხედრო მოსამსახურის“ წინააღმდეგ აღძრული დავების განხილვის განსაკუთრებული განსჯადობა სამინისტროს არჩევანის მიხედვით, გააჩნია იმ სასამართლოს, რომელიც იმყოფება:

8.4.1 „სამხედრო მოსამსახურის“ ბოლო სამსახურის ადგილის (სამხედრო ნაწილის ადგილსამყოფელის) მიხედვით, როგორც ამ კონტრაქტის შესრულების ერთ-ერთი ადგილის მიხედვით;

8.4.2 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადგილსამყოფელის მიხედვით, როგორც ამ კონტრაქტის შესრულების ერთ-ერთი ადგილის მიხედვით;

8.4.3 „სამხედრო მოსამსახურის“ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

8.5. დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება, მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, განიხილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

8.6. „სამხედრო მოსამსახურე“ ვალდებულია „სამინისტროს“ მიერ მოთხოვნილი პერიოდულობით და ვადაში, წარადგინოს „სამინისტროში“ მის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 9. კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა

9.1. კონტრაქტი შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

9.1.1. რეორგანიზაციის ან შტატების შემცირების შემთხვევაში;

9.1.2. თუ აღმოჩნდება, რომ სამხედრო სამსახურში ჩასარიცხად სამხედრო მოსამსახურემ არასწორად წარმოადგინა კონტრაქტის მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის 2.1.1 და 2.1.2 ქვეპუნქტებში მითითებული მონაცემები ან გააყალბა თავისი პირადი ან სხვა მონაცემები;

9.1.3. თუ სამხედრო მოსამსახურე სისტემატიურად ან ბრალეულად არღვევს მის მიერ კონტრაქტით ნაკისრ ან შესაბამისი საჯარისო წესდებებით დადგენილ ვალდებულებებს. სისტემატიურ დარღვევად ჩაითვლება ორჯერ ან მეტჯერ დარღვევა;

9.1.4. სამხედრო მოსამსახურის ავადმყოფობის გამო, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ ამ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.1.5. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ზღვრული ასაკის მიღწევის შემთხვევაში;

9.1.6. მხარეთა შეთანხმებით;

9.1.7. პირადი განცხადებით (პატაკით), როგორც გამონაკლისი, დასაბუთებული და შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებულ მიზეზთა გამო (მძიმე ოჯახური მდგომარეობა, სხვა სახელმწიფოში მუდმივსაცხოვრებლად გადასვლა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩევა ან დანიშვნა);

9.1.8. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, სამსახურიდან დათხოვნისას.

9.2. კონტრაქტი ვადაძლე შეწყვეტილად ითვლება დათხოვნის ბრძანებაში მითითებული დათხოვნის თარიღიდან. „სამხედრო მოსამსახურე“ თანახმაა დათხოვნის თარიღად დაფიქსირდეს, დათხოვნის თაობაზე სამხედრო ნაწილიდან წარდგინების გამო, ნაწილში მისი ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნის თარიღი.

9.3. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა შეთანხმებით „სამხედრო მოსამსახურის“ დათხოვნის საფუძვლებად, ჩაითვალება „სამხედრო მოსამსახურის“ სურვილით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული იმ მიზეზებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონტრაქტის ვადაძლე შეწყვეტა, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევა „სამხედრო მოსამსახურის“ ვადაძლე დათხოვნას მხარეთა შეთანხმებით.

შენიშვნა: მე-9 მუხლის 9.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, „სამხედრო მოსამსახურეს“ არ დაეკისრება მე-7 მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტა

10.1. წინამდებარე კონტრაქტიდან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, მხარეთა შორის წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკებით დავის გადაუწყვეტლობის შემთხვევაში, დავას განხილავს და გადაწყვეტს სასამართლო.

10.2. ამ მუხლის 10.1. პუნქტით გათვალისწინებული მხარეთა შორის მოლაპარაკების ვალდებულება არ ვრცელდება კონტრაქტის მე-7 მუხლის 7.3 და მე-8 მუხლის 8.2. პუნქტებით დადგენილ შემთხვევებზე, რომლებიც განსაკუთრებულად წესრიგდებიან.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. კონტრაქტის ცალკეული დებულებების ბათილობა არ იწვევს კონტრაქტის დანარჩენი დებულებების ბათილობას. კონტრაქტის რომელიმე დებულების ბათილობის შემთხვევაში, ბათილი დებულება ავტომატურად იცვლება ისეთი მართლზომიერი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ბათილი დებულების შინაარსს. იგივე პრინციპები ვრცელდება დათხოვნის საფუძვლების მიმართ სასამართლოში ბრძანების კანონიერების სადაოდ

გახდისას (თუ დათხოვნა კანონიერი იქნებოდა სხვა საფუძვლით „სამხედრო მოსამსახურე“ ავტომატურად ითვლება დათხოვნილად კანონიერი საფუძვლით, ანუ ხდება მხოლოდ დათხოვნის საფუძვლების შეცვლა).

11.2. მხარეები მიმართავენ ყველა ძალისხმევას, რათა შეთანხმდნენ კონტრაქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებით. კონტრაქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით.

11.3. კონტრაქტი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემატ მხარეებს.

მუხლი 12. მხარეთა იურიდიული მისამართები

სამინისტრო:	სამხედრო მოსამსახურე:
სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსი	_____

მხარეთა ხელმოწერა:

სამინისტრო:	სამხედრო მოსამსახურე:
_____	_____
-----	-----